საქართველო
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 50 43 03/07/2017

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების 2017 წლის საპრივატიზაციო ობიექტთა ნუსხის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის"24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე.დ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61 - მუხლის პირველი და მე-7 პუნქტის საფუძველზე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

მუხლი 1. დამტკიცდეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების 2017 წლის საპრივატიზაციო ობიექტთა ნუსხა #1 დანართის შესაბამისად (თან ერთვის).

მუხლი 2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 06 აპრილის #50/11 განკარგულება „საპრივატიზაციო ობიექტთა ნუსხის დამტკიცების შესახებ“

მუხლი 3. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე

მუხლი 4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 180 –ე მუხლით დადგენილი წესით.

მანანა ბარბაქაძე

საკრებულოს თავმჯდომარე